№ 122, ივნისს 11, სამშაბათი. 1866—1885 ივნისს 11, სამშაბათი. № 122.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэва“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან [illegible] ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

## „დროების“ ფასი ივნისის პირველიდამ წლის დამლევამდე 6 მანათი; სოფლის მასწავლებელთათვის 4 მანათი და 50 კაპ.

## შინაური ქრონიკა

დილომის მინდორში კალია გაჩენილა. იქიდამ ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ თუ ეხლავ რაიმე ღონისძიება იხმარეს მის გასაწყობად, ეს ადვილად მოსახერხებელია, რადგან ჯერ კუტად არისო, მაგრამ თუ თავი მიანებეს, შეიძლება დიდი ზარალი მოუტანოს მოსავალსაო.

აქაურ სომხის საზოგადოებას «მშაკის» მოსპობის შემდეგ არ აკმაყოფილებს აქაური ორი სომხური გაზეთი, რომელთაგან ერთი კვირაში ორჯერ გამოდის. ამის გამო განუზრახავთ გ. არწრუნის მოწვევა და ყოველის გზით ხელის მომართვა, რომ მან თავისი გაზეთი კვალად განაახლოს. გ. არწრუნი ამ საქმისათვის დღეს-ხვალ უნდა დაბრუნდეს ჩვენს ქალაქში.

ქუთაისიდამ გვწერენ: «იმდენი ვიჩივლეთ უწვიმობაზედ მთელს იმერეთში, რომ ცაც-კი შევარყიეთ ამ ჩივილით და სწორედ მთელი კვირა თითქმის კოკის-პირულად წვიმდა. ამ წყალობამ ფერი დასდო მოსავალს და ვინც გვალვამ შეაჩერა, დღეს გაცხარებულად შეუდგა მუშაობას—ხვნა-თესვას. თითქოს ახლად გამოზაფხულდაო.»

იქიდამვე გვატყობინებენ: «ქუთაისი თითქოს სხვა-და-სხვა გვარის ვაჭრულ წარმოების ცენტრად ხდება. აქ გახსნა საჩოთქო ქარხანა ვინმე ნემეცმა ბოლტსჰაუზერმა. ამ ქარხნის დამზადებული ჩოთქები—ყავარცხნი თუ ტანისამოსისა—არაფრით არ ჩამოურჩება საზღვარ-გარეთიდამ შემოტანილებს. მხოლოდ რადგან ახალი საქმეა—ფასი, ცოტა არ იყოს, დიდია ჯერ ამ ქარხნის ნაწარმოებებზე. ამას წინად ლაპარაკობდენ აქ მეორე ქარხანაზედაც—არყის ქარხანაზედ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს საქმე მიყუჩდა.

იგივე კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ ივნისის 4-ს კარგა დიდი ცეცხლი ყოფილა ქუთაისში. დამწვარა სახლი ებრაელთ მ. და რ. რიჟინაშვილებისა. თვით შენობა თუმცა დაზღვეული ყოფილა, მაგრამ ძრიელ მცირე ფასად, როგორც გვწერენ და მეპატრონენი დაზარალებულნი დარჩენო. თვით შენობაში ბევრი წვრიმალი მოვაჭრენი ვაჭრობდენ, რომელთაც საქონელი არა ჰქონდათ დაზღვეული. ცეცხლის დროს ცარცვა-გლეჯა დიდი იყოო. დაუჭერიათ სხვათა შორის ორი ებრაელი. ამათ ხელში უნახავთ ცეცხლის დროს გაზიდული საქონელი. დღეს ორივ ებრაელნი დატუსაღებულნი და გამოძიების ქვეშ იმყოფებიანო.

ტყიბულის რკინის გზის საქმე წარმატებით მიდის, როგორც გვწერენ ქუთაისიდამვე. ქუთაისის სტანციიდამ 25 ვერსამდეა დღემდე გაყვანილი—სოფ. ნაზოსლევამდე. ჯერ კიდევ (ტყიბულამდე) ამაზედ მეტი გზაა გასაყვანიო. ერთი წელიწადი, თუ მეტი არა, კიდევ მოუნდება ამ გზის დასრულებას.

ქუთაისის პირველი ერთ-დღიური აღწერა ზედ-მიწევნით ვერ იქმნა სისრულეში მოყვანილი, როგორც ადრევე ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს. დღეს კვლავ შესდგომიან, რომ შეავსონ ეს ნაკლულევანება.

ქუთაისის საავად-მყოფოს უფროსი ექიმი ეძებსო მარჯვე ადგილს მომავალ ხოლერიან—ავადმყოფებისათვის თავ-შესაფარის გასამართავად. ამაზედ ექიმს, ამბობენ, მოლაპარაკება ჰქონია ქუთაისის ქალაქის გამგეობასთან.

წელს ხონის საოსტატო სემინარიაში თერთმეტს შეგირდს შეუსრულებია კურსი. ამათში ერთი ოსია, ორი რუსი და დანარჩენი რვა ქართველი. აი ამათი გვარები: დოროხინ, სიდოროვ (რუსები), ბიტარაშვილი (ოსი), ტატიშვილი, ლამბაშიძე, ხალაძე, მაჭარაძე, ბახტაძე, აშორტია და კალანდარაშვილი.

სიღნაღიდამ გვწერენ, რომ ერთი იქაური მოხელე თ. ლ ა-ვი თავის ქვეშევრდომის ამალით შევარდნია სახლში უსინათლო თ. ი. ა-ვს და სიტყვით და მოქმედებით შეურაცხება მიუყენებიათ. ამბობენ რომ ამ საქციელის მიზეზი ამ ორთა პირთ შორის ჩამომავლობითი მტრობააო. თ. ი. ა-ვს უთხოვნია მთავრობისთვის გამოძიება დაენიშნოსო.

## წერილი რედაქტორთან

რამდენიმე სიტყვა მინდა მოგახსენოთ ჩვენი თბილისელი სტოლარებისა და მათი ხელობის და მდგომარეობის შესახებ და გთხოვთ ალაგი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში.

დღეს ვინც კი დაუკვირდება სტოლარების მდგომარეობას, ის ცხადად შენიშნავს შემდეგს: ამ უკანასკნელ დროს ისე დაეცა სტოლარების ხელობა, რომ ბევრნი თავს ანებებენ ხელობას და ვაჭრობას იწყობენ და ბევრნიც უსაქმურად დაიარებიან და თუ მუშაობს ვინმე და აკეთებს რასმე, ესენიც ხშირად თავიანთ ნაშრომს მასალის ფასად ჰყიდიან სალდათის ბაზარში მებელის ჩარჩებზედ. ამ ჩარჩების მომეტებული ნაწილი სრულებით ხელოსნები არ არიან, მაგრამ აქ[illegible]არში კი ხელოსნებათ ითვლებიან, ჯიბეშიაც ქარგლობისა და ოსტატობის ატესტატები უწყვიათ და ბევრი ხელოსანთაგანნი კი უატესტატოდ არიან. აგერ რამდენიმე წელიწადია ლაპარაკი აქვთ და ეძებენ საშუალებას, თუ რით შეიძლება ამ წურბელა ვაჭარ-ჩარჩებისგან თავის დახსნა და დღეს ძლივს მიაგნეს სახსარს.

სტოლარებმა გაიგეს და დარწმუნდენ, რომ საამხანაგო მებელის საწყობი მათთვის საჭიროა, რომ ყოველ მათგანს შეეძლოს ავეჯის მიტანა და დადგმა გასასყიდად. ახლა არ იციან თუ როგორ დაიწყონ. ამას წინად შეადგინეს წესდება, რომ ორ-ორი თუმანი გამოეღოთ და დაეწყოთ საქმე, მაგრამ ფულების გამოღება ვერ გაბედეს, ვის უნდა მივანდოთო, რადგანაც ერთი-ერთმანეთზედ შეუძლებელნი არიან.

ამ ბოლოს დროს გადასწყვიტეს იშოვონ ისეთი კაცი, რომელსაც ფული ჰქონდეს და გაალოს თავის სახელობაზედ მაღაზია (საწყობი), რომელშიაც მებელს ესენი დასდგმენ და სახლის ქირასაც თითონ გადიხდიან საერთოდ და დღეშიაც ექვს შაურს პურის ფულს მისცემენ, ოღონდაც ავეჯის ღირებულ ფასიდამ ნახევარი წინდა-წინ მისცეს ხოლმე თუმანზედ აბაზის სარგებლით და თვით მოგებაშიაც წილს დაუდებენ, თუკი მოიგეს რამე. ამ გვარი კაცი იპოვეს კიდეც, მაგრამ ძნელი ეს არის, ამასაც ვერ მორიგებიან; თქვენ კი პირობა მომეცით ნოტარიუსით, რომ ჩემდა-უნებურად გასვლა არ შეგვეძლოთ და მე კი რადროსაც მინდა გავიდეო. იმედი გვაქვს დაგვეხმარებიან ჩვენი მოწინავე ქართველებიც, გვირჩევენ რასმე ამ ჩვენი დაცემული ხელობისა და მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ და არ მიგვცემენ ათასი ყვავისაგან გაქცეულებს ერთ სვავს საკორტნელად.

ერთი ვინმე სტოლარი.

## უცხოეთი

— გლადსტონის კაბინეთი, რომელიც მართავდა ინგლისს აპრილის 20-დამ 1880 წ., ე. ი. ხუთის წლის და თვე ნახევრის განმავალობაში, დაემხო ივნისის 9 (ახ. სტ.), თორმეტის კენჭის უმრავლესობით. ვინც ამ დღეს დაესწრო ინგლისის პალატის სხდომას, იმას დიდ ხანს არ დაავიწყდება ის საშინელი ხმაურობა და ყვირილი კონსერვატორებისა, რომელიც ატყდა სხდომაში, როცა კენჭები დათვალეს და გლადსტონის წინადადება გააშავეს. ირლანდიელი დეპუტატები უყვიროდენ თურმე ძლეულ გლადსტონს: «თავი ანებე სამინისტროს, თავი ანებე, ჩვენ არ გვინდა თქვენი ახალი კანონი ირლანდიელების წინააღმდეგ». თითონ კაბინეთის დამხობა აი რა რიგად მოხდა: ივნისის 8, დილით, მინისტრები შეიკრიბნენ და განიხილეს ის ახალი ზომები, რომელნიც მთავრობას უნდა შემოელო ირლანდიაში დანაშაულობის შესამცირებლად. იმათ ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ სულ სხვა საქმე მოუღებდა მათ უფლებას ბოლოს. ეს სხვა საქმე იყო ახალი გადასახადის შემოღება. გადასახადის მომატება გამოწვეულ იქმნა იმ მიზეზით, რომ სახემწიფოს დიდი ხარჯი მოუვიდა სუდანის ექსპედიციაში და რუსების წინააღმდეგ განზრახულ ომის მზადებაში. გადასახადი უნდა მომატებოდა სპირტისა და ლუდის აქციზს. ლუდის აქციზი ბოჩკაზე უნდა ერთი შილინგი ყოფილიყო ამას იქით. ამ პროექტმა მთელი ინგლისის სპირტით მოვაჭრეები აალელვა და აღჭურვა გლადსტონის წინააღმდეგ. მოვაჭრეებთან ერთად დაბალმა ხალხმაც უსიამოვნება განაცხადა, რადგანაც გადასახადი იმას აწვებოდა. ესენი ამბობდენ ღარიბი ხალხის სასმელს გადასახადს უმატებენ და მდიდარი ლორდების სასმელს—სხვა-და-სხვა ღვინოებს კი—გადასახადი უნდა დაუკლონო. კონსერვატორებსაც ეგ უნდოდათ, რომ ხალხი გლადსტონის წინააღმდეგ ყოფილიყო. მოკლეს დროში ინგლისში

ახალი არჩევანი იქნება დეპუტატებისა და ამათ უნდოდათ, რომ ლიბერალებზე უფრო დიდი ლიბერალობა გამოეჩინათ და დაბალი ხალხის მხარე დაეჭირათ. მთავრობამ შენიშნა, რომ უმრავლესობა იმის წინააღმდეგ იქნებოდა და დაუკლო სპირტის ხარჯს, რადგანაც რუსეთთან მშვიდობიანობის ჩამოგდება ორ მილიონ ეკონომიას აძლევდა სახემწიფოს. ლუდის ხარჯი კი ისევ ის დასტოვა ერთის წლით და ღვინოებისა კი დარჩა, როგორც ძველად იყო. რადიკალები დააკმაყოფილა ამ გვარმა ქცევამ და სხდომის დასაწყისზე ყველას ეგონა, რომ გლადსტონი გაიმარჯვებდა, მაგრამ ბოლოს მაინც ცუდად დატრიალდა მისი ბედ-იღბალი. სხდომის დასაწყისზე ჩიც-მორისმა განაცხადა, რომ მთავრობას ესპანიასთან აქვს მოლაპარაკება, თუ შეიძლება ღვინოების ბაჟი შემცირდესო. ამ განცხადებამ ხელახლა მოაყვაინა გული რადიკალებს. როდესაც მინისტრმა შეიტანა კანონ-პროექტი ხარჯის მომატების შესახებ, უმეტესობამ გლადსტონის წინააღმდეგი მხარე დაიჭირა. მინისტრი ტყუილად ეუბნებოდა კრებას: აქამდის სამხედრო ალჭურვის ხარჯი მარტო მდიდრებს აწვებოდა და ამას იქით, საცა სამართალია, ამ ხარჯში მთელმა ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობაო!.. კანონ-პროექტის წინააღმდეგ ბევრმა ილაპარაკა. სხვათა შორის ბიკონსფილდის ნაამხანაგარმა, ბიკსბიჩმა, შეიტანა პალატაში ამ გვარი წერილობითი განცხადება: «პალატა უსამართლოდ სთვლის სპირტის გადასახადის მომატებას, სანამ ღვინის გარდასახადი არ იქნება აწეული; ამას გარდა პალატა არ დაამტკიცებს უძრავი ქონების გადასახადს, სანამ პალატის გადაწყვეტილება შესახებ უძრავი ქონების გადასახადის გადაცემისა ქალაქის რჩევისთვის არ იქნება შესრულებული.» ამ განცხადებაზე ერთმა მინისტერთაგანმა სთქვა: თუ პალატა ამ წინადადებას მიიღებს, სამინისტრომ უნდა თავისი პორთფელი სხვას გადასცესო. თითონ გლადსტონმა ითხოვა სიტყვა და განაცხადა, რომ კონსერვატორებს უნდათ ძველი პროტექციის სისტემა აღადგინონ, დაბალი ხალხის ზურგს უკან ამოფარებულთაო. მაგრამ ვერაფერმა ვერ იხსნა იმის კაბინეტი. ქენჭი ჩამოატარეს, დაითვალეს და კონსერვატორების წრეში ატყდა საშინელი ტაშის-კვრა, სიცილი, სიხარულით ზეზე ხტომა და ქუდების მაღლა სროლა! კონსერვატორებს თორმეტი ხმა მეტი ამოუვიდათ.

— ინდოეთის მთავრობას განუზრახავს, როგორც იწერებიან კალკუტიდამ, 58 ათასი კაცი რეზერვის ჯარი შეადგინოს ინდოეთშივე.

— სიმლიდამ სწერენ Daily News-ს, რომ რუსებმა ტელეგრაფი გაიყვანეს მერვამდე. აქედამ ისინი აპირებენ გაიყვანონ ტელეგრაფი მახნამდის, რომელიც არის 70 ინგ. მილზე. დაახლოვებული სერახსზე.

— «ახალ-დროებას» შეუტყვია, რომ ინგლისის ჯარს ჰერათის მიდამოდამ დაუწევია ინდოეთისკენ.

— იმავე გაზეთში სწერენ, რომ რუსის ჯარმა, შუა მაისში, პენდეს მახლობელი ადგილები დააგდო და უკან დაიწიაო.

— პოლ კოვნიკი როსსი, ინგლისის პოლიტიკური აგენტი, რომელსაც მინდობილი აქვს «სპარსეთის ყურეს» დაცვა, როგორც იწერებიან Times-ში, აცხადებს, რომ მისს მაზრაში გავრცელდა მაჰმედ-აჰმეტის პროკლამაციები. მაჰდი სწერს ამ პროკლამაციებში, რომ მას განზრახვა აქვს დაიპყრას ეგვიპტე და არაბეთი. როსსი დარწმუნებულია, რომ არაბები თუმცა ისინი სულთანის ქვეშევრდომები არიან, ხელს გაუმართავენ ცრუ წინასწარმეტყველს, რომ მისი განზრახვა ასრულებაში მოიყვანოს.

— რუსის ელჩს ვაშინგტონში უკითხავს ამერიკის მმართებლობისთვის, რა პასუხს მისცემს იგი ამერიკელთ და ირლანდიელთ, რომელთაც განაცხადეს სურვილი შევიდნენ რუსეთის სამსახურში, თუ ამ სახელმწიფოსა და ინგლისს შორის ომი ატყდა. ბევრ ამერიკელს განუცხადებია სურვილი შევიდეს რუსების ჯარში აფიცრათ, სალდათათ და ექიმათ; ბევრს კამანდირობა და ამფეთქებელი ნავების უფროსობა უთხოვნია. ზოგიერთა ირლანდიელებს განუცხადებიათ, რომ ისინი მუქთად შეაწევენ რუსეთს ალჭურვილ კაპერებს და ბარქასებს. რუსის მმართებლობას, როგორც ამბობენ, ყველა ამ პირებისთვის უარი უთქვამს.

— ზოგიერთა ინგლისურ გაზეთებში სწერდენ, ვითომ ოსმალოს ელჩს პეტერბურგში ბძანება მიელოს რუსეთთან კავშირის დაჭერისა. ბელგიის გაზეთები ამტყუნებენ ამ ამბავს. მართალიაო, ამბობენ ეს გაზეთები, რომ რუსეთმა მოლაპარაკება გამართა ოსმალეთთან იმ თავითვე, როდესაც ინგლისთან უთანხმოება ატყდა, მაგრამ ეს მოლაპარაკება შეეხებოდა მხოლოდ ოსმალოს ნეიტრალიტეტს და არა კავშირს. მოლაპარაკებამ უნაყოფოდ არ ჩაიარაო, ამბობენ ეს გაზეთები, რუსეთს მოსვლია ოსმალოდამ სიტყვა, რომ ნეიტრალიტეტი არ იქნება დარღვეული ოსმალეთის მხრით.

## პასუხი

### მოწალმართე დასს თელავში.

(იხ. „დროება“ №№ 108 და 109).

(შემდეგი *)

ა) ღარიბი ხალხისათვის ქალების სკოლის დაფუძნება.

«აზრიო ღარიბი ხალხისათვის ქალების სკოლის დაფუძნებისა დაიბადა დიდი ხნით, როსტომაშვილის წინათო და სხვა ამისთანები, ამბობს ბ. მოწალმართე—ნადიკვრელი. სრული სიცრუეა მთლად ეს გრძელი წინადადება «აზრის დაბადებაზე», ბ. მოწალმართევ! მე დარწმუნებით შემიძლიან ვსთქვა, რომ იმ დროს, რა დროსაც მე ღარიბთა ხალხისათვის საქალებო სკოლა გავხსენი, არც ერთს იმ ობსკურანტებთაგანს, რომელთა რიცხვს თქვენ ეკუთვნით, არც აზრად მოსვლია ეს საქმე და არც ხელი გაუნძრევია, რომ ხელ-მოკლე ხალხისათვის საქალებო სკოლა გაეხსნა. «საზოგადოებას (ნეტავი ვინ საზოგადოებას?!) ძრიელ ჰსურდა (ყურადღება მიაქციე, ჩემო მკითხველო, ამათ სულ ცარიელ სურვილს და სურვილს) მოეხერხებინა ამ ნაირი სკოლის გახსნაო» და სხვ., რომ «აქ როსტომაშვილმა უთხრა საზოგადოებას (ნეტავი თქვენისთანა ცრუს ამ ქვეყანაზე!): «მე გავხსნი, თქვენ შემეწიენითო» და სხვ. არ ვიცი, რა ვუწოდო იმ პირს, რომელიც იმდენად დაცემულა ზნეობით და იმდენად დაჰხშობია სვინიდისი, რომ არავითარს სიცრუეს არა ზოგავს, ოღონდ კი მისწვდეს თვის საწადელს: ა) რომ იმისი სიცრუე გაზეთში კი იყოს დაბეჭდილი და სხვა ფეხებზე ჰკიდია და ბ) რომ სიცრუის თქმით დროებით მაინც ლაფში ამოსვაროს უწყებული პირი. ეს არც გასაკვირველია ობსკურანტებისაგან, რომელნიც, როგორც ხალხის სიბნელის მიმდევარნი, ცდილობენ საზოგადო მუშაკთა მოღვაწეობაშიაც სიბნელე შეიტანონ. აბა ერთი მითხარით, როდის ან ვის მივმართე მე ამ გვარის წინადადებით? საქალებო სკოლის გახსნა იყო ჩემი გულის დიდი ხნის ერთი უდიდესი ხვაშიადთაგანი და ამიტომ დავიწყე ეს საქმე მარტოთ-მარტომ, რომ დაიმედებული ვიყავ მხოლოდ საკუთარს შრომაზე, ხალხისადმი სიკეთეზე და კეთილ-კაცობაზედ და არა თქვენისთანა ობსკურანტებზედ. თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ, ვინც ამ საქმეს ახლო ედგა. ეს სკოლა გავხსენი არა საზოგადო სახელით, (იხილე თუნდა ნება-რთვა მთავრობისა ამ სკოლის გახსნის თაობაზედ, რადგანაც მაშინ არავითარი საზოგადოება სკოლისა არ არსებობდა, როგორც ცრუობს «ნადიკვრელი»), არამედ ისე, როგორც რეცოლდმა, ტერაკოფოვმა, მონასტირცევმა და სხვებმა მხოლოდ იმ ჯაჯას განსხვავებით, რომ ესენი იღებენ სწავლის ფასს ათ თუმნობით თითო მოსწავლისაგან და მე, საწყალი როსტომაშვილი, თითო ქალზე მხოლოდ ხუთ შაურს თვეში, რომელიც მოსწავლემ უნდა შემოიტანოს თვე-თვეობით და არა მთელი წლისა ერთად. რათა? რასაკვირველია იმისათვის, რომ რაც შეიძლება მომეტებულისათვის საშუალება მიმეცა საჭირო სწავლის მიღებისა.

საზოგადოება სად იყო, ბ. მოწალმართევ, როდესაც მე და ჩემი ცოლი ექვსი თვის განმავლობაში სკოლის დაარსებიდამ მარტოდ-მარტო ვირჯებოდით და ისიც როდის? შუადღის შემდეგ, როდესაც ყველა ჩემი ხელობის კაცი ტკბილს მოსვენებას ეძლევა. რომ სკოლის საჭიროების და დაფუძნების აზრი ყველა თქვენთაგანს ფეხებზედ ეკიდა, ეს კიდევ იქიდამა სჩანს, რომ თქვენი ობსკურანტები ყველგან გაიძახოდენ «შვილებს ტყუილად ნუ აბარებთ როსტომაშვილსა, ეგ სკოლა მალე დაიკეტებაო», ასე, რომ მშობლების დასარწმუნებლად ამ ხმების სიცრუეში, იძულებული ვიყავი მათთვის თავი მომეყარა და საჯაროდ წამეკითხა და ამეხსნა მთავრობისაგან მოცემული ნება-რთვა ამ სკოლის გახსნაზედ.

ახლა ვსთქვათ ორიოდე სიტყვა იმ საზოგადოებაზედაც, რომელიც ასე ერთგულად მუშაკობდა ჩემი სკოლისათვის და მისი მომავალის დამხობისათვის. ნახევარი წლის არსებობის შემდეგ სკოლაში ირიცხებოდა 40-მდის მოსწავლე ქალი. დადგა იანვარი და ზამთარიც 1884 წლისა. მოგეხსენებათ, რომ ზამთარში პატარა დღეებია და სადილს შემდეგ ოთხი გაკვეთილის მიცემა ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა, რადგანაც მე ვათავებდი ჩემს სამსახურს შუადღის ორს საათზედ. ერთი სიტყვით მე ვგრძნობდი რომ ყოვლად შეუძლებელია სადილს შემდეგ ვაწარმოვო სკოლა და განვიძრახე ერთი მასწავლებელი ქალის დაჭერა. ამ ქალისათვის მე მსურდა შემეძლია 120 მანათი წელიწადში. როდესაც ეს ჩემი აზრი გარდავეცი ჩემს ზოგიერთ ამხანაგებს, იმათ მითხრეს, რომ თვეში თუმანი ცოტა არისო და რადგანაც შენ მეტის მიცემა არ შეგიძლიანო, ერთს თუმანსაც ჩვენ მოვაგროვებთო ჩვენთა შორის და ორი თუმანი ვაძლიოთ თვეში ქალს მასწავლებელსო. ითქვა,—ასრულდა, არც ხელ-წერილი და არც არავითარი სხვა პირ-შეკრულობა. აქ საზოგადოება მიმართავდა მე ხელს არა იმიტომ, რომ ეს სკოლა საზოგადო იყო, არამედ იმიტომ, რომ ნათლად ხედავდა მცირე შემოსავალს სწავლის ფასის სიმცირისა გამო, ჰსურდა ხელი მოემართა ამ ღარიბი ხალხის სკოლისათვის. თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ ბ. მაქსიმ ჭელიძეს, რომელმაც პირველმა გარდმომცა აზრი თუმნის შეგროვებაზე თელავის ინტელიგენციის შორის და რომელიც მართლაც საკუთარის ხე-

*) იხილე „დროება“ № 121.

ლით აგროვებდა ამ ფულს, ვიდრე იგი თელავში იმყოფებოდა. გავიდა ხანი, ქელიძე გადიყვანეს და ფულის მოგროვება მე მივანდე ერთს გვამს. რამოდენიმე დღის შემდეგ ამან მითხრა, რომ ზოგიერთი შემომწირველნი (უთუოდ ობსკურანტები იქნებოდენ, რომელთაც რა დაინახეს, რომ სკოლა იკეტება-კი არა, წარმატებაში შედის, განიძრახეს სხვა გზით დაეხლართათ მისთვის გზა) თხოულობენო, რომ რამდენიმე პირი ამოვარჩიოთ და ფულის მოგროვება და დახარჯვა იმათ მივანდოთო. მეც დავთანხმდი, როგორც იტყვიან ვენდე. შეიყარნენ სულ ოთხი კაცი და ერთი ქალი. ამ საზოგადოებამ (!) ამოარჩია ხუთი პირი ჩემი სკოლის შემწე კომიტეტად, ე. ი. თვითონვე ამოირჩიეს თავიანთი თავი. ამათი მოვალეობა იყო წინანდელი: მასწავლებლის ნახევარი ჯამაგირი მე უნდა მეძლია და ნახევარიც მათ. მაგრამ, დადგა თუ არა მეორე დღე, ერთმა პატივცემულმა ქალმა მითხრა, რომ დღეს ესა-და-ეს ქალი (ესეც კომიტეტის წევრად გახლდათ ამორჩეული) კვეხულობდაო, რომ როსტომაშვილს სკოლა უნდა წავართვათო და ჩვენ ვაწარმოვოთო, ასე რომ მეც ვუთხარი: «რა ვუყოთ, წამართმევენ და წამართონ-მეთქი. ეს იყო და ეს: იმის მაგიერად, რომ ერთგულად, როგორც ძმებს, გაგვეწია ულელი საერთო საქმისა, ესენი ითხოვდენ ჩემგნით, სხვათა შორის, ამ სკოლის გარდაცემას; მე ვუთხარი, რომ შეადგინეთ წესდება, დაამტკიცებინეთ მთავრობას და დიდის სიამოვნებით გარდმოგცემთ მეთქი, რადგანაც ეს შემწე საზოგადოება ოფიციალურად არ იყო დამტკიცებული და არც უფლება ჰქონდა მიელო ჩემი სკოლა თავის გამგებლობაში (პოლიცია მაშინვე დაუკეტამდა მათ ამ სკოლას). მაგრამ, ამათ განა მართლა სკოლის მომავალი აწუხებდა? ამათ ჰსურდათ მხოლოდ სკოლის მკუდრო წარმატების მიმდინარეობა დაერღვიათ და სხვა არაფერი. გავიდა მთელი თვეები; ამათ როგორც მუდამ, ვერც წესდება შეადგინეს, ვერც მთავრობას დაამტკიცებინეს და გადაცემას-კი ითხოვდენ, ე. ი. დაკეტვას, რადგანაც მათთვის სკოლის გარდაცემა კანონით არ შეიძლებოდა. როცა თვისი უმოქმედობის გამო ვერ მოახერხეს უბრალო საზოგადოების ოფიციალურად დაფუძნება, მომადგნენ შემდეგის წინადადებით: პასუხის-მგებლად მთავრობის წინაშე შენ იყავიო ისევ, ხოლო გამგეობა გარდმოგვეციო. ეს წინადადება მე უარ-ვყავი და მათ ცალკე განჩინებით დაადგინეს, რომ ამის შემდეგ როსტომაშვილის სკოლას ნულარასფერს ნულარ შევწირავთო. მაგრამ ამას ვინ ჩივის: ამათმა სიმშურნემ იქამდის მიაღწია, რომ ყველა ის ფული (თხუთმეტ თუმანზე მეტი), რომელიც ჩემი სკოლის სახელობით იყო შეკრებილი და საწყალთა ქალთა ხელ-საქმის ლოტარიით განდიდებული, ამათ დაიჩემეს და აქამომდე აღარ აძლევენ იმ სკოლას, რომელიც ღარიბი ხალხის შვილთათვის არის დაფუძნებული და რომლის დაფუძნების აზრი, მათ რომ ჰკითხოთ, როსტომაშვილზედ დიდი ხნის წინად იყო მათში..

ახლა გადავიდეთ იმაზე, თუ მე როგორ შევჭამე რამდენიმე ათი თუმანი ჩემივე სკოლისა. რადგანაც ფულის პატიოსნად მოხმარება კარგა დიდი საბუთია ადამიანის პატიოსნებისა, ამიტომ ამ ადგილს მე მივაქცევ საზოგადოების უმეტეს ყურადღებას. აქ მე დაწვრილებით წარმოგიდგენთ სკოლის 23 თვის სიცოცხლეს, როგორც საკუთარს შემოსავალს, ისე შემოწირულებებს და აგრეთვე მის ყოველ-გვარ ხარჯს და ვნახოთ, მე შევჭამე სკოლის ფული, (თუნდაც რომ შემეჭამა, რა იქნებოდა აქ საძრახისი, რადგანაც სკოლა ჩემი იყო), თუ სკოლამ ჩემი ფული.

**აი ეს შემოსავალიც:**

| | | |
|---|---|---|
| მკათათვეში (დაწყობის თვეში) მყავნდა 7 მოსწავლე*) . . . . | | 3 მ. 50 კ. |
| მარიამობისთვეში | 12 | 6 მ. » |
| ენკენისთვეში | 18 | 9 მ. » |
| ღვინობისთვეში | 25 | 12 მ. 50 კ. |
| გიორგობისთვეში | 33 | 16 მ. 50 კ. |
| ქრისტიშობისთ. | 36 | 18 მ. » |
| იანვარში | 44 | 22 მ. » |
| თებერვალში | 40 | 20 მ. » |
| მარტში | 40 | 20 მ. » |
| აპრილში | 38 | 19 მ. » |
| მაისში | 40 | 20 მ. » |
| თიბათვეში | 40 | 20 მ. » |
| მკათათვეში (ზაფხულში ნაკლებად დაიარებოდა) | 30 | 15 მ. » |
| მარიამობისთვეში | 30 | 15 მ. » |
| ენკენისთვეში | 40 | 20 მ. » |
| ღვინობისთვეში | 46 | 23 მ. » |
| გიორგობისთვეში | 54 | 27 მ. » |
| ქრისტიშობისთ. | 54 | 27 მ. » |
| იანვარში | 60 | 30 მ. » |
| თებერვალში | 62 | 31 მ. » |
| მარტში | 60 | 30 მ. » |
| აპრილში | 62 | 31 მ. » |
| მაისში | 62 | 31 მ. » |
| სულ შემოსულ 23-ს თვეში | 933 | 466 მ. 50 კ. |

**ახლა შემოწირულებანი, რომელნიც საკუთრად მე მომიდის:**

| | |
|---|---|
| საფაროვების წარმოდგენიდამ . . . . | 22 მ. » |
| დ. გამყრელიძის თაოსნობით გამართული წარმოდგენიდამ . . | 40 მ. » |
| შემწე საზოგადოებას მოუცია 13 თვეში მასწავლებელთ ჯამაგირში. . . . . . | 220 მ. » |
| ჩემგნით გამართული ქალების ხელ-საქმის ლოტარიიდგან შემოვიდა . . . . . | 45 მ. » |
| შემწე საზოგადოებისაგან მიმიღია სტოლებისათვის. . . . . | 30 მ. » |
| ამავე საზოგადოებისაგან $1^1/_2$ საჟენი შეშისა. | 21 მ. » |
| ამავე საზოგადოებისაგან ლამფის გაკეთებაში . | 25 მ. » |
| ამავე საზოგადოებისაგან ხელ-საქმის სასყიდლად | 24 მ. » |
| შემოწირულობანი სულ ყოფილა . . . . | 427 მ. » |
| სულ. | 893 მ. 50 კ. |

*) აქ მოყვანილია რიცხვი მხოლოდ იმ ქალთა, რომელთაგან ფული შემოსულა სკოლაში; ზოგთ ქალთ (რომელნიც თუმცა მოსწავლეედ ითვლებოდენ) სხვა-და-სხვა საშინაო გარემოებათა გამო თვიური ფული არ შემოჰქონდათ სწავლისა; აქ არ არიან მოყვანილნი ის მოსწავლენიც, რომელნიც რომელიმე თვეში არ დაიარებოდენ სკოლაში, და არც ფული შემოჰქონდათ იმ თვისა.

**ახლა ხარჯი ამავე დროს განმავლობაში:**

| | |
|---|---|
| პირველს ექვს თვეში ერთს მასწავლებელს. | 120 მ. » |
| შემდეგ 17 თვეში, ორს მასწ., თითოს ოცი მან. თვეში . . . | 680 მ. » |
| 23 საკლასო სტოლში, თითოში 5 მანათი | 115 მ. » |
| ერთს შკაფში . . . | 5 მ. » |
| ერთს საკლასო დაფაში. | 6 მ. » |
| მეორე საკლასო დაფაში. | 3 მ. » |
| ხელ-საქმის ყიდვა. . | 45 მ. » |
| კიდევ ხელ-საქმის ყიდვა . . . . . . . | 24 მ. » |
| სასკოლო ბიბლიოთეკისათვის მიყიდნია წიგნები . . . . . | 12 მ. 30 კ. |
| სახლის ქირა 23 თვეში, 7 მანათად . . . | 161 მ. » |
| ბიჭი, შჩოტკა, ცარცი, ტილო და სხვა წვრიმალი ხარჯი, თვეში სამ-სამი მანათი . . | 69 მ. » |
| შეშისა ორს ზამთარში 3 საჟენისა . . . | 42 მ. » |
| ლამფის გაკეთებაში. . | 25 მ. » |
| სულ დამიხარჯავს 23-ს თვეში. . . . . | 1307 მ. 30 კ. |

გამოდის, რომ 23 თვეში თვითონ სკოლის შემოსავლიდამ და სხვა-და-სხვა შემოწირულებიდამ მიმიღია სულ 893 მან. და 50 კაპ., ამავე დროს განმავლობაში მე მქონია ხარჯი სკოლაზედ 1307 მან. და 30 კ. ამ უკანასკნელიდამ რომ გამოვიდეთ შემოსავალი 893 მან. და 50 კ. დარჩება 413 მან. და 80 კაპ., რომელიც მე საკუთარის ჯიბიდამ ზედ-დამიდვია ღარიბთა ხალხის სკოლის დაარსებაზე და მის აქნობამდე წარმოებაზე.

თუნდა ვსთქვათ, რომ, სანამ მეორე მასწავლებელს დავიჭერდი, თვითონ მე ვიღებდი ათი თვის განმავლობაში ოც მანეთს თვეში, მაშინაც გამოვა, რომ სკოლას ედება ჩემი ვალი 213 მან. და 30 კაპ., თუმცა ნამდვილად მე არც ოცი მანეთი და არც ერთი კაპეიკი არ მიმიღია, რადგანაც, როგორც მკითხველმა დაინახა, სკოლას მეტი შეძლება არა ჰქონდა.

მე სწორედ იმდენი მიხარჯავს ამ სასიქადულო საქმეზე, რამდენიც ორი წლის განმავლობაში მომჭირნე ცხოვრებით შემეძლო ჩემი დღისათვის გამომეზოგნა და თქვენ, ბნელეთლეგო, კი ბრძანებთ, რომ მე შევჭამე 201 მანეთი! ეს იმიტომ მოგდით, რომ თქვენ ისე ანგარიშობთ თითქოს ჩემი სკოლა პირ და-პირ 60 მოსწავლით დაწყებულიყოს და არა 7 მოსწავლით და მხოლოდ 3 მან. და 50 კაპეიკის შემოსავლით თვეში!!

ამასთან ბრძანებთ, რომ «გაიმართა სალიტერატურო სალამო სკოლის სასარგებლოდ და შემოვიდა 40 მანეთიო.» აი ცოცხალი ტყუილი თუ გინდათ ეს არის! აბა როდის გაიმართა სალიტერატურო სალამო ჩემი სკოლის სასარგებლოდ? იგი იყო გამართული მხოლოდ წიგნთ-საკითხავის სასარგებლოდ და შემოსავალიც იმასვე გარდაეცა სრულიად. თუ თქვენ არ მოგეხსენებათ ეს (როგორც სხვა ყველაფერიც), ჰკითხეთ ამაზე მ. ციცქი-შვილს, ზ. ჩხიკვაძეს და ანუ ნახეთ წიგნთ-საკითხავის შემოსავლის დავთარი და იქიდამ ცხადად დაინახავთ თქვენსავე სიცრუეს. ვიცი ეს შეცდომა იმიტომ მოგივიდათ, რომ ჩემი სკოლის ქალების მგალობელთ გუნდი იღებდა დახლოებითს მონაწილეობას ამ ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეში და თქვენ კი გეგონათ, რომ რაკი როსტომაშვილის სკოლის ქალების გუნდი გალობსო, უთუოდ მისივე სკოლის სასარგებლოდ იქნება გამართული ეს სალამოო! განა არ ვიცი, რომ თქვენ ბნელეთელებს ისა გკლამთ და სხვა არაფერი, რომ თუმცა ორი სრული წელიწადიც არ არის რაც არსებობს ჩემი სკოლა, მაინც ისეა განვითარებული, რომ შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს საზოგადო საქმეში და მით დაჩაგრულს ერს უკეთესის მომავლის იმედები გაუღვიძოს გულში...

ამბობთ იმასაც, ვითომც სახლის ქირა, 7 მანეთი თვეში, ძვირი იყოს და მე კი რომ მკითხოთ მოგახსენებთ, რომ სხვა ვინმე ან თუნდა თვითონ თქვენ რომ ყოფილიყავით ჩემს მაგივრად, ოც თუმნათაც არ გაიტარებდით გვერდზე იმ სამოც-და-ათ მოსწავლე ქალს, რომელთა ბავშვური მოუსვენრობა, თქვენ-მიერ განკიცხულ როსტომაშვილს, ჭირად კი არა, მალამოდ ედება იმ წყლულებაზედ, რომელთაც მას თქვენ უჩენთ თქვენის დაუძინებელის შურის-ძიებით.

ჩემს მოწერილზედ: «ჯერ ვერავის ვხედავ იმისთანას, რომ ჩემგნით დაწყობილი საქმის ბედი შეეძლოს მკვიდრად და მოუშლელად დაადგინოს», — თქვენ ბრძანებთ: «განა ამას იტყვის კეთილ-გონიერი კაციო?» რატომ არ იტყვის ერთი მიბძანეთ? რა არის აქ

გასაკვირველი, მით უმეტეს, რომ თქვენს ამ გრძელს სიცოცხლეში შურის და უმოქმედობის მეტი არა გამოგიჩენიათ რა!...

(დასასრული ხვალ)

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის საագენტოსი“

იენისის 8-ს

**პეტერბურგი.** დღეს მოხდა ქალაქის თავის ამორჩევა. პირველ კანდიდატათ ამორჩეულ იქმნა თავ-მჯდომარე მომრიგებელ მოსამართლეთა კრების ლიხაჩევი 167 ხმით, მეორე კანდიდატათ ლამანსკი, რომელიც 115 ხმით ამოარჩიეს და ქალაქის თავის ამხანაგი სემენოვი, რომელმაც 38 ხმა მიიღო. წინანდელმა თავმა ბარონ კორფმა 34 ხმა მიიღო.

**ბომბეი.** ჰერათში კანდაარიდამ 2000 კაცი მოვიდა ამ ქალაქის გასამაგრებლად; იქვე გაიგზავნა ქაბულიდამ 10,000 თოფი.

**ბერლინი.** დაყრილი ხმა ვილეგრადში და მის გარშემო გადამდები ავადმყოფობის გაჩენის შესახებ გაზვიადებულია; მაინცა და მაინც ავადმყოფობის წინააღმდეგ ჯეროვანი საშუალებანია მიღებული.

**ლონდონი.** რადგანაც გლადსტონი ჯერ კიდევ არ დათანხმდა სოლისბიურის წინადადებაზედ, რომ ლიბერალებმა მხარი მისცენ კონსერვატორების კაბინეტს, ამისათვის ეჭვი აქვთ, რომ სოლისბიურიმ თავის თანამდებობა დააჭიროს; პირ იქით, იმასაც ამბობენ, რომ ლიბერალები მმართველობას კვალად ხელში ჩაიგდებენო.

იენისის 10-ს.

**ბერლინი.** იმპერატორი ვილჰელმი ემსში წაბძანდა

გუშინ ტოპერში დამარხეს გენერალ-ფელდმარშალი მანტეიფელი. კომანდირმა რუსეთის მე-10 დრაგუნის პოლკისამ, რომლის შეფათაც განსვენებული ფელდმარშალი იყო, დაადო კუბოზედ ვერცხლის გვირგვინი წმ. გიორგის ლენტით.

**ხანოი.** როგორც ისმის, შავი ფლაგების წინამძღოლი ლი-ხუნ-ფოკი ჩინელებს ტყვედ დაუჭერიათ და დაუდრჩვიათ.

**სიმლა.** ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ მიწის ძვრისაგან ქაშმირში 3081 კაცი დაღუპულა და 70,000 სახლი დანგრეულა.

## ბირჟა

პეტერბურგი ივნისის 10.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— | —$24^{3}/_{16}$ $24^{11}/_{32}$ $24^{3}/_{16}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— | — 206 $206^{3}/_{4}$ $206^{1}/_{4}$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — | — 255, $255^{3}/_{4}$ |
| პოლუიმპერიალები | — 8 მ. 16 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები | — 8 მ. 14 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი | — 1 მ. 29 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— | — 6 და $6^{3}/_{4}$% |
| 5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — | — 99 მ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა | — $97^{3}/_{4}$ მ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა | — $97^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| მეოთხე გამოც. — | — $97^{1}/_{4}$ მ. გაყ. |
| მეხუთე გამოც. — | — $97^{3}/_{4}$ მ. გაყ. |
| 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან. — | — 95 მ. 12 კ. გაყ. |
| მეორე გამოც. — | — 94 მ. 62 კ. გაყ. |
| მესამე გამოც. — | — 94 მ. 84 კ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა | — 224 მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | $209^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — | — $169^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — | — 27 წ. 89 მ. გამყ. 43 წ. $88^{1}/_{2}$ მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 91 მ. გამყ. 43 წ. 90 მ. გამყ. |

## ცნობანი

### რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

**თბილისიდამ ბათუმისაკენ**
8 საათზე და 35 წამ. დილით.

**ბათუმიდამ თბილისში შემოდის**
10 საათ. 25 წამ. ღამით.

**თბილისიდამ ბაქოსკენ**
10 საათზე 55 წამზე ღამით.

**ბაქოდამ თბილისში შემოდის**
8 საათ. დილით.

**თბილისიდამ სურამისაკენ**
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

**სურამიდამ თბილისში შემოდის**
8 საათზედ 24 წამ. დილით.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 თიბათვიდამ 15 თიბათვემდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ |

**იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |

**ჯვარის-მამის პური:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის ლავაში | 1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^{1}/_{2}$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |

**ძროხის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა— | 1 | გ. | 8 კ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი— — — | —1 | გ. | 15 კ |
| ცხვრის ხორცი— | —1 | გ. | 9 კ |

**ღორის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა.. | 1 | გ. | |
| მეორისა — —1 | — | გ. | |

# განცხადებანი

რადგანაც მთვარიანი ღამე მიშლის გავმართო სრულად ჩემი ფიზიკური წარმოდგენა, რომელიც დანიშნული იყო 11-ს ამ თვეს, ეს წარმოდგენა გარდაიდვა ივნისის 14-ისათვის. ამის პროგრამმა ცალკე იქნება გამოცხადებული.

დერინგი.

## ქუთაისში,

**ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეთა მაღაზიაში** ისყიდება ყოველ-გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება ბულვარის პირ-და-პირ საკუთარ შენობაში.

(8—1)

## ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 6 მანათიდგან, და ორის საწოლი 10 მანათიდგან; მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანათამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, კოვზები, შეფილდის დანები ჩანგლებით, სამართებლები, დასადგმელი პირის საბანი, სტაქნები, სუფრაგნიკი, საწყაო, რიუმკები, საქამური, თეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, ... , ... ცის სათუხეები, პრობკის ამოსაღები, პრობკები, კლიტეები, გასაღებები, კრანტები, ალვირები, სლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხათანგები, ნიჩბები, გატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, კიპულები, სოუსები, ზღვის ბალახი, ლიმიკიტონები, ბომაზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 9, 3, 91 და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში.

(100—21)




(Ц. 15375.). (50—3)

## ი ნ გ ლ ი ს უ რ ი მ ა ღ ა ზ ი ა

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, (92 სამუსიკო მაღაზია ლანკოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85 რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის საზღვარგარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩვენი ჩაი | 1 მან. — კაპ. | ჩაის | სხვაგან | 1 მ ნ | 20 | დირებულს. | |
| ,, | ,, | 1 — 20 — | ,, | ,, | 1 — 50 | — | |
| ,, | ,, | 1 — 40 — | ,, | ,, | 1 — 80 | — | |
| ,, | იშვიათი | 1 — 60 — | ,, | ,, | 2 — 20 | — | |
| ,, | ჩინეთის ყვავილი | 1 — 80 — | ,, | ,, | 2 — 50 | — | |
| ,, | ფუჩეფუ | 2 — ,, — | ,, | ,, | 2 — 80 | — | |
| ;, | ფენომენი | 2 — 40 — | ,, | ,, | 3 — ,, | — | |

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზემო მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება

ქალაქს გარეშე მცხოვრებისათვის, ვინც 6-ს გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრაოტები, და სხვ.; უველაფერი პირველ ხელიდგან—აი საიდუმლო ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის მრავალის ჩაის, კალმებს, ქაღალდს, კრაოტებს და სხვ.

(100—21)

Доз. ценз. Тифлисъ, ⁻0 Іюня 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.